

ეთიკის კომისიის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე – კოლეგიის თავმჯდომარე

გიგა კვერენხილაძე – კოლეგიის წევრი

არჩილ კბილაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა; მ. ც.

საჩივრის რეგისტრაციის №003/11

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.01.11

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 25.02.2011

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ზ. ე.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. ე. ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1. 2011 წლის 26 იანვარს ისანი-სამგორის რაიონულმა პროკურატურამ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას შემდგომი რეაგირებისათვის გადმოუგზავნა მოქალაქე მ. ც. 2011 წლის 15 იანვრის განცხადება ადვოკატ ზ. ე. მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

1.2. მოქალაქე მ. ც. განცხადების მიხედვით, 2004 წელს ფონიჭალაში შეიძინა ბინა შორეული ნათესავეების ნ. და ლ. მ. დახმარებით. აღნიშნულმა პირებმა ბინის შეძენისთანავე სთხოვეს დახმარება სესხის აღებაში მისი ბინის გარანტიით ჩადების გზით.

1.3. მ. ც. განმარტავს, რომ იგი დათანხმდა გაეწია დახმარება და 2004 წლის 24 აგვისტოს მასა და მოქალაქე ლ. ქ. შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებების თანახმად, მ. ც. სესხულობდა 3540 დოლარს 3 თვის ვადით ყოველთვიური 2% გადახდით და ამ ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა მისი ბინა. მ. ც. აღნიშნავს, რომ მითითებული თანხიდან 540 დოლარი იქვე დაიტოვა ლ. ქ. (3 თვის სარგებლის, პროცენტის სახით) და მას გადასცა 3000 დოლარი, რომელიც მან სრულად გადასცა ნ. მ.

1.4. მ. ც. აღნიშნავს, რომ ნ. მ. კრედიტორ ლ. ქ. 2005 წლის 24 მარტამდე გადაუხადა სულ 2950 დოლარი, ხოლო მეტის გადახდა ვეღარ შეძლო. 2005 წლის 25 აგვისტოს ლ. ქ. იჩივლა შპს იურიდიულ კომპანია „ს“, რომელმაც 2005 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით მას დააკისრა 3540 დოლარის (ექვივალენტი ლარებში), აგრეთვე პირგასამტეხლოს (სესხის ძირითადი თანხის ყოველდღიური 0,1% - 2005 წლის 24 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ანუ ყოველდღიურად 3,54 დოლარის შესაბამის ეკვივალენტი ლარებში) და საარბიტრაჟო მოსაკრებლის (146,20 დოლარის ეკვივალენტი ლარებში) გადახდა. ვალის გადახდის მიზნით, არბიტრჟმა დაადგინა მისი ბინის აუქციონზე გაყიდვა.

1.5. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2006 წლის 14 ივნისს გარკვეულ პირთა რჩევით იგი დაუკავშირდა ადვოკატ ზ. ე. და იმ დღესვე მისცა რწმუნებულება, რათა ადვოკატს მისი სახელით ეწარმოებინა ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები საქართველოს ყველა სასამართლოში, ასევე დაეცვა მისი ინტერესები სააღსრულებო ბიუროსა და კერძო არბიტრაჟში. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატი ზ. ე. დაჰპირდა, რომ შეუნარჩუნებდა ბინას, ხოლო მან ადვოკატს გადაუხადა 750 ლარი, ხოლო საქმის მოგების შემდეგ უნდა გადაეხადა მისთვის შეთანხმებით გათვალისწინებული ჰონორარი.

1.6. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ზ. ე. 2006 წლის 20 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მისი სახელით წარადგინა სასარჩელო განცხადება სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დაზუსტების, ვალის გადაკისრების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და შეჩერების თაობაზე. მ. ც. განმარტავს, რომ ადვოკატმა ზ. ე. რამდენჯერმე დაათვალიერა მისი ბინა, რომელიც, როგორც ჩანს, მოეწონა და მისი ინტერესების დაცვის ნაცვლად, ყველაფერი გააკეთა, რომ მისი ბინა ხელში ჩაეგდო.

1.7. მ. ც. განმარტავს, რომ 2005 წლის 26 სექტემბერს გაცემული №სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე 2006 წლის 1 აგვისტოს დანიშნული პირველი იძულებითი აუქციონი ჩაიშალა ბინის შეძენის მსურველთა არარსებობის გამო, ხოლო მეორე იძულებითი აუქციონი ჩატარდა 2006 წლის 28 სექტემბერს. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მისთვის არ იყო ცნობილი არც პირველი და არც მეორე აუქციონის თაობაზე, ხოლო ადვოკატმა ზ. ე. მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მიიღო მონაწილეობა მეორე აუქციონში და მისგან მალულად თვითონ შეიძინა ბინა.

1.8. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2007 წელს მან შემთხვევით შეიტყო, რომ მისი ბინის მესაკუთრე იყო მისი ადვოკატი, რომელმაც აღნიშნული ბინა 2006 წელს შეიძინა აუქციონზე. მ. ც. აღნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ზ. ე. კვლავ ითვლებოდა მის ადვოკატად.

1.9. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ 2007 წლის 27 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სხდომა, სადაც უნდა განხილულიყო ადვოკატ ზ. ე. მიერ მისი სახელით 2006 წლის 20 ივნისს შეტანილი საჩივარი. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მისი ბინის მიმტაცებელ ადვოკატ ზურაბ ეუაშვილს ეყო თავხედობა და გამოცხადდა პროცესზე მისი „ინტერესების დასაცავად“.

1.10. განმცხადებელი განმარტავს, რომ მან სასამართლო პროცესზე ამხილა ადვოკატი ზ. ე. უსინდისობაში, თაღლითობასა და საკუთარი ვალდებულებების უხეშ დარღვევაში. მ. ც. უთითებს, რომ მოსამართლე ნ. კ. მოსთხოვა ადვოკატ ზ. ე. თვითაცილების გამოცხადება აუქციონზე მისი მარწმუნებლის კუთვნილი ბინის შეთანხმების გარეშე შეძენის გამო.

1.11. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ დღევანდელი მდგომარეობით ადვოკატი ზ. ე. კატეგორიულად მოითხოვს მისგან ბინის დაცლას და იმ თანხის გადახდას, რომელიც 2006 წლის 6 ოქტომბრიდან ბინის ქირის სახით (თვეში 150 ლარი) უნდა გადაეუხადო ჩემივე კუთვნილ ბინაში ცხოვრებისათვის. მ. ც. აღნიშნავს, რომ

ადვოკატმა ზ. ე. თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სამოქალაქო სარჩელი და მოითხოვს ბინიდან მის გამოსახლებას.

2. ადვოკატ ზ. ე. განმარტების მიხედვით:

ადვოკატ ზ. ე. გასაუბრება შედგა 2011 წლის 4 აპრილს, რა დროსაც მან წარმოადგინა ახსნა-განმარტება და წერილობით უპასუხა დისციპლინური კოლეგიის წევრების კითხვებს.

2.1. ადვოკატ ზ. ე. განმარტების მიხედვით, დაახლოებით 2006 წლის 21 მაისს მას დაუკავშირდა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კავკასიის ფედერაციის ერთ-ერთი თანამშრომელი ჯ. პ. და სთხოვა მისუღიყო ზემო ფონიჭალის დასახლებაში მის საცხოვრებელ ბინაში. ადვოკატი განმარტავს, რომ ჯ. პ. გააცნო მას მ. ც. მოკლედ აუხსნა მისი საქმის გარემოებები და სთხოვა დაწვრილებით გაცნობოდა საქმის მასალებს, ასევე გაეწია მ. ც. სამართლებრივი დახმარება და თუ საჭიროდ ჩათვლიდა ყოფილიყო მისი წარმომადგენელი.

2.2. ადვოკატი ზ. ე. განმარტავს, რომ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ მან მ. ც. განუმარტა, რომ საჭირო იყო სარჩელის აღძვრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ლ. ქ., ნ. და ლ. მ., დ. ცხ, შპს „ბ“ და სხვათა წინააღმდეგ. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მ. ც. დაეთანხმა მის რეკომენდაციას და სთხოვა მოემზადებინა სარჩელი.

2.3. ადვოკატი ზ. ე. აღნიშნავს, რომ 2006 წლის 14 ივნისს მ. ც. გააფორმა რწმუნებულება მის სახელზე, რომლითაც მიანიჭა უფლება ყოფილიყო მისი წარმომადგენელი სასამართლოში, სააღსრულებო ბიუროსა და კერძო არბიტრაჟში.

2.4. ადვოკატი ზ. ე. განმარტავს, რომ მან მოამზადა სასარჩელო განცხადება და 2006 წლის 20 ივნისს წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში. ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2006 წლის 21 ივლისს სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული.

2.5. ადვოკატი განმარტავს, რომ 2006 წლის ივლისის ბოლოს მ. ც. ჩაბარდა თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის კ. ფ. შეტყობინება იმის თაობაზე, რომ შპს „ბ“ 2005 წლის 26 სექტემბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე 2006 წლის 1 აგვისტოს დანიშნული იყო მ. ც. რიცხული ბინის პირველი იძულებითი აუქციონი. ადვოკატი ზ. ე. აღნიშნავს, რომ იგი გამოცხადდა აუქციონზე, როგორც მ. ც. წარმომადგენელი და მოითხოვა აუქციონის გადადება, რადგან მის მიერ სამოქალაქო კოლეგიაში წარდგენილი სარჩელი წარმოებაში იყო მიღებული. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მისი მოთხოვნები აღმასრულებლის მიერ არ იქნა გაზიარებული და აუქციონი გაიხსნა დადგენილი

წესით, თუმცა იმის გამო, რომ ბინის შეძენის სურვილი არავის გამოუთქვამს, აუქციონი ბინის რეალიზაციის გარეშე დასრულდა.

2.6. ადვოკატი აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში 2006 წლის 6 ოქტომბერს ჩაინიშნა სასამართლო სხდომა 2006 წლის 20 ივნისს წარდგენილ სარჩელთან დაკავშირებით. ასევე ადვოკატი უთითებს, რომ 2006 წლის 28 სექტემბერს დაინიშნა მეორე იძულებითი აუქციონი, რის შესახებაც მ. ც. ჩაბარდა შესაბამისი შეტყობინება. ადვოკატი განმარტავს, რომ მ. ც. შეატყობინა მას მეორე იძულებითი აუქციონის დანიშვნის თარიღი.

2.7. ადვოკატი განმარტავს, რომ 2006 წლის 28 სექტემბერს გამოცხადდა მეორე აუქციონზე, როგორც მ. ც. წარმომადგენელი და ითხოვა აუქციონის გადადება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, რაც აღმასრულებლის მიერ არ იქნა გაზიარებული და გაიხსნა აუქციონი. ადვოკატი უთითებს, რომ აუქციონზე ბინის მინიმალური სარეალიზაციო ფასი შეადგენდა 10707 ლარს.

2.8. ადვოკატი ზ. ე. აღნიშნავს, რომ აუქციონზე დამსწრე მ. გ. გამოთქვა სურვილი აღნიშნულ ფასად შეეძინა ბინა. ადვოკატის განმარტებით, მან როგორც მ. ც. წარმომადგენელმა, მას შემდეგ რაც შეაფასა აუქციონზე განვითარებული პროცესები და გაითვალისწინა აუქციონის ჩატარების სამართლებრივი შედეგები (კერძოდ: აუქციონზე ბინის შემძენი და ყოველი შემდგომი მესაკუთრე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ითვლება კეთილსინდისიერ შემძენად), ჩაება ვაჭრობაში.

2.9. ადვოკატი განმარტავს, რომ მას არ ჰქონდა მ. ც. მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილება უძრავი ქონების შეძენისა და თანხის გადახდის თაობაზე, ამიტომ აუქციონში მონაწილეობა მიიღო საკუთარი სახელით. ადვოკატი განმარტავს, რომ აუქციონში მისი მონაწილეობის ძირითადი მიზანი იყო მ. ც. რიცხული ბინის სარეალიზაციო ფასის მაქსიმალურად გაზრდა და უცხო პირზე ბინის რეალიზაციის თავიდან აცილება, ასევე ის, რომ აუქციონის სამართლებრივი შედეგები მაქსიმალურად იქნებოდა მორგებული მ. ც. ინტერესებთან.

2.10. ადვოკატი აღნიშნავს, რომ აუქციონზე გაიმართა საკმაოდ დაძაბული ვაჭრობა მასა და მ. გ. შორის, შედეგად მის მიერ 11510 ლარის დაფიქსირების შემდეგ, გ. შეწყვიტა ვაჭრობა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ იგი იძულებული იყო აუქციონის ჩატარების დღესვე გადაეხადა საგარანტიო თანხა, შეთავაზებული ფასის 10%, ხოლო დანარჩენი თანხა დაეფარა ერთი კვირის ვადაში.

2.11. ადვოკატი აღნიშნავს, რომ საგარანტიო თანხის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 3 ოქტომბერს შეხვდა მ. ც. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის

კავკასიის ფედერაციის ოფისში ჯ. პ. ვ. პ. და გ. ს. თანდასწრებით, სადაც განუმარტა განმეორებით იძულებით აუქციონზე განვითარებული მოვლენები და მისი აუქციონში მონაწილეობის სამართლებრივი შედეგები. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მ. ც. განუცხადა, რომ ის მას ენდობოდა და მიაჩნდა, რომ მისი ყველა მოქმედება მიმართული იყო მისი ინტერესების დაცვისაკენ.

2.12. ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2007 წლის 27 ივნისს მ. ც. თავის ახალ წარმომადგენლთან, ვ. წ. ერთად გამოცხადდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სასამართლო სხდომაზე და განუცხადა, რომ მას უცხადებდა უნდობლობას.

2.13. ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2007 წლის 9 ოქტომბერს მ. ც. მიმართა წერილობით და შესთავაზა რამოდენიმე წინადადება, რომელთაგან მ. ც. მისთვის ყველაზე მისაღები უნდა აერჩია: ა) მასთან, როგორც მესაკუთრესთან შეთანხმებით მოეხდინა ბინის რეალიზაცია საბაზრო ფასად, რათა დაფარულიყო ბინის შექენასთა და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები; ბ) მას თვითონ მოეძებნა მისთვის მისაღები ბინა 4000 აშშ დოლარის ფარგლებში, რომელიც უშუალოდ მის მიერ იქნებოდა დაქირავებული ან დაგირავებული და რომელშიც გადავიდოდა საცხოვრებლად და გაათავისუფლებდა მის საკუთრებაში არსებულ ბინას.

2.14. ადვოკატი განმარტავს, რომ მისი შეთავაზება მიუღებელი აღმოჩნდა მ. ც. და მან განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის შს სამმართველოს პოლიციის მე-9 განყოფილებას, რათა საქართველოს შს მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშის აღკვეთის წესის“ შესაბამისად აღეკვეთათ მ. ც. მხრიდან მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფა. ადვოკატი განმარტავს, რომ შს სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან განემარტა, რომ აღნიშნულ ბრძანებაში არსებული ხარვეზის გამო ბრძანების მოქმედება შეჩერებულია.

2.15. ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2008 წლის 26 დეკემბერს კვლავ მიმართა ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის შს სამმართველოს პოლიციის მე-9 განყოფილებას მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფისა და სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის მიზნით. ადვოკატი განმარტავს, რომ 2009 წლის 13 თებერვალს დაინიშნა უძრავი ნივთის ხელყოფისა და სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიება, თუმცა იმის გამო, რომ მ. ც. აღნიშნულ ბინაში საცხოვრებლად გადაიყვანა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი ა. გ., ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიება შეჩერდა. ადვოკატი განმარტავს, რომ ისანი-სამგორის შს სამმართველოს პოლიციის მე-9 განყოფილების უფროსმა და პირადად მან არაერთხელ მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რათა წერილობით ეცნობებინათ მ. ც. მიერ მის საცხოვრებელ ბინაში გადაყვანილი

იძულებით გადაადგილებული პირის ა. გ. გამოსახლების მიზანშეწონილობის შესახებ, თუმცა უშედეგოდ.

2.16. ადვოკატი აღნიშნავს, რომ იმის გამო, რომ საქართველოს შს მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანებით გათვალისწინებული წესით ვერ მოხერხდა მ. ც. და მასთან მცხოვრებ პირთა მის საკუთრებაში არსებული სადგომიდან გამოსახლება, იგი იძულებული იყო სარჩელით მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის, რათა მოახდინოს მ. ც. მხრიდან უკანონო ხელშეშლის აღკვეთა. ადვოკატმა აღნიშნა, რომ ამჟამად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში იხილება აღნიშნული საქმე.

სამოტივაციო ნაწილი

1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

1.1. საქმეში წარმოდგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

1.1.1. ადვოკატი ზ. ე. 2007 წლის 14 სექტემბერიდან არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

1.1.2. საჩივრის ავტორებმა ეთიკის კომისიაში საჩივარი შემოიტანა 2011 წლის 26 იანვარს.

1.1.3. სადავო ქმედება ჩადენილია 2006 წლის 14 ივნისიდან 2007 წლის 27 ივნისის ჩათვლით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 №2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო საჩივარში მითითებული დარღვევის თარიღისათვის მოქმედი რედაქციით (2006 წელი) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა დისციპლინარული წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-3 მუხლით ადვოკატს დისციპლინარული პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

2. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ზ. ე. მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2002 წელს მოქმედი რედაქცია) 32 მუხლის მე-2 ნაწილისა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-2

მუხლია მე-3 ნაწილის, ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

3. სამართლებრივი შეფასება

3.1. ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (17.11.2009 №2040 რედაქციით) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო საჩივარში მითითებული დარღვევის თარიღისათვის (2006 წ) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-3 მუხლის მიხედვით, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

3.2. აღნიშნული საჩივრის მიხედვით, საქმე ეხება 2006 წლის 14 ივნისიდან 2007 წლის 27 ივნისის ჩათვლით მომხდარ გარემოებას, რა დროსაც მოქმედებდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის (2002 წლის რედაქცია) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

3.3. მოცემულ შემთხვევაში კანონს არ შეიძლება ქონდეს უკუქცევითი ძალა, რადგან ის აუარესებს პირის (ადვოკატის) მდგომარეობას.

3.4. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადვოკატის მიმართ არ აღიძრება დისციპლინური საქმის წარმოება, თუ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თარიღიდან ეთიკის კომისიისათვის მიმართვის დღემდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

3.5. ადვოკატ ზ. ე. მიერ გადაცდომა შესაძლოა ჩადენილ იყოს 4 წლის წინ და კანონით დადგენილი 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო მომჩივანს უარი უნდა ეთქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

3.6. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე.“ ზ. ე. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი არის 2007 წლის 14 სექტემბრიდან, შესაბამისად ეთიკის კომისიას არ შეუძლია იმსჯელოს ზ. ე. მიერ 2007 წლის 14 სექტემბრამდე განხორციელებულ ქმედებებზე.

3.7. საპროცესო კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიუთითოს, რომ მ. ც. და ადვოკატ ზ. ე. შორის ურთიერთობა არსებობდა 2006 წლის 14 ივნისიდან 2007 წლის 27 ივნისის ჩათვლით, აღნიშნულ პერიოდში ადვოკატი ზ. ე. არ იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32 მუხლის მე-2 ნაწილითა და 33 მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 31-ე მუხლით

გ ა დ ა წ ე ვ ი ტ ა:

1. ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის, მ. ც. 26.01.11 წლის, საჩივარი №003/11 არ დაკმაყოფილდეს.
3. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
4. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე - ცირა შუბითიძე

კოლეგიის წევრი – გიგა კვერენხილაძე

კოლეგიის წევრი – არჩილ კბილაშვილი

